



სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

16 06 2015 წ.

ბრძანება № 2-105

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორის 2015 წლის 12 ივნისის „2015 წლის გამოსაშვები გამოცდებისათვის დადგენილ ღონისძიებათა განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ N2- 84 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

გბრძანებ:

1. 2015 წლის 14 ივნისის მომხდარ სტიქიასთან დაკავშირებით, ცვლილება შევიდეს სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორის 2015 წლის 12 ივნისის „2015 წლის გამოსაშვები გამოცდებისათვის დადგენილ ღონისძიებათა განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“ N2-84 ბრძანების პირველ და მეორე პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2015 წლის 17 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით დანიშნული გამოსაშვები გამოცდების (მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის) ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებათა განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ შემდეგი პირები:

- 1.1. სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის - ინფორმაციული მენეჯერი – ნინო კავთელიშვილი;
- 1.2. სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის – ქართული ენის მასწავლებელი – ქეთევან რეხვიანიშვილი;
- 1.3. სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის – ფიზიკა/მათემატიკის მასწავლებელი – ლუდმილა უშანგიშვილი;
- 1.4. სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის – ისტორიის მასწავლებელი – ეთერ დოგუზოვი;
- 1.5. სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის – გერმანული ენის მასწავლებელი – ლიანა ქინქლაძე;

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირებს დაევალოთ გამოცდებამდე (16 ივნისს) და შემდგომ მთელი საგამოცდო პროცესის განმავლობაში (17 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით) უზრუნველყონ გამოცდისათვის საჭირო გარემოს შექმნა სკოლაში, კერძოდ:

- 2.1 განახორციელონ მოსწავლის პირველადი საგამოცდო რეგისტრაცია;
- 2.2. პირველადი რეგისტრაციისას მოსწავლეს ჩამოართვან ყველა ზედმეტი ნივთი და მოათავსონ ისინი წინასწარ გამოყოფილ ადგილას;
- 2.3. შეასრულოს სკოლის დირექტორის კონკრეტული მითითებები;
- 2.4. შეასრულოს ცენტრის თანამშრომლის მითითებები საგამოცდო პროცესთან დაკავშირებით;

2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:



/ელზა ბადაშვილი/